**ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2023 წლის 16 მარტის #48 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე**

**აკადემიური ჩამორჩენილობის გამო**

**სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წეს“-ში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. შევიდეს ცვლილება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2023 წლის 16 მარტის #48 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წეს“-ში, კერძოდ,:

ა) შევიდეს ცვლილება წესის პირველი პუნქტში, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად და მისი დანართი N1 განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად:

,,1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არის მოცემული დანართი #1-ში, ერთსა და იმავე სასწავლო კურსში (რაც ჩამოთვლილია დანართი #1-ში) სამჯერ კრედიტის ვერ მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.“

ბ) შევიდეს ცვლილება წესის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,3. ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას (სამჯერ კრედიტის ვერ მოპოვება), სტუდენტს აქვს უფლება:

ა) ისარგებლოს შიდა მობილობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ყველა საბაკლავარო პროგრამაზე, გარდა დანართი #1-ში მითითებული პროგრამებისა.

ბ) ისარგებლოს გარე მობილობით. „

2. ეს ცვლილება ძალაში შევიდეს **2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან**.

**დანართი #1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების მონაცემები, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე წესი**

| **საგანმანათლებლო პროგრამა** | **სასწავლო კურსები** |
|---|---|
| კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი) | ● კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III;<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო) (ინგლისურენოვანი) | ● კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი I შესავალი წრფივ ალგებრაში.<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) | ● კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი I შესავალი წრფივ ალგებრაში.<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობ (ინგლისურენოვანი) | ● კალკულუსი I, კალკულუსი II, კალკულუსი III.<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი) | ● კონსტრუქციები და კულტურა;<br>● მათემატიკა, ფიზიკა და ქიმიის სავალდებულ კურსები;<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ქართულენოვანი) | ● კონსტრუქციები და კულტურა;<br>● მათემატიკა, ფიზიკა და ქიმიის სავალდებულ კურსები;<br>● სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებ |
| *სხვა სასწავლო კურსებზე წინამდებარე წესი არ ვრცელდება.* | |